საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 16 ოქტომბერი 2014 წელი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 05-01/03

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის; უნივერსიტეტის წესდების 71-ე მუხლის; აკადემიური საბჭოს 2014 წლის 15 ოქტომბრის 04-01/21 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ხელოვნების უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი შემდეგი ცვლილებები:

ა. წესდების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რექტორად შიძლება არჩეული იქნეს პირი, რომელსაც უკავია პროფესორის აკადემიური თანამდებობა აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომლის მიმართულებაც შეესაბამება ხელოვნების უნივერსიტეტს და მის ფაკულტეტებზე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებს.“

ბ. წესდების 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დეკანად შიძლება აირჩეს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის) პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც აქვს უმაღლეს სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი.“

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე

წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერი თ. მეიშვილი